

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს  
სახელმწიფო უნივერსიტეტი

მარია მამაცაშვილი

### **პიტერ ბრუპის რეჟისორული კიეზანი**

წარმოდგენილია დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი, 0108, საქართველო

თბილისი  
2014

**რეცენზენტები:**

**ნოდარ გურაბანიძე**, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი,  
პროფესორი, ემერეტუსი

**მარინა ხარატიშვილი**, ხელოვნებათმცოდნეობის  
დოქტორი

**ჯემ პერკაჩი**, პროფესორი, ემერეტუსი, ნიუ იორკი, იტაკა  
კოლეჯი, თეატრალური ხელოვნების დეპარტამენტი

## სარჩევი

თემის ზოგადი დახასიათება .....	4
კვლევის მიზანი, ობიექტი და მეთოდები .....	5
ძირითადი შედეგები და მეცნიერული სიახლეები .....	8
ნაშრომის სტრუქტურა .....	10
ნაშრომის მოკლე შინაარსი .....	11
შესავალი .....	11
თავი 1	
რეჟისორული მრწამსი .....	15
თავი 2	
ბრუკი და შექსპირი .....	17
თავი 3	
ბრუკის თეატრის ტიპოლოგია: ბრუკის შემოქმედებითი პრაქტიკა თეორიულ ჭრილში .....	19
თავი 4	
რეპეტიცია, მსახიობი, მაყურებელი .....	22
თავი 5	
თეატრის „გლობალიზაცია“ (თეატრალური ექსპერიმენტის საერთაშორისო ცენტრი (C.I.R.T.) და საერთაშორისო თეატრალური ექსპერიმენტების სტუდია) .....	26
თავი 6.	
დრამატული ნაპერწკალი .....	29
თავი 7.	
თეატროლოგების მოსაზრებანი ბრუკის შესახებ .....	31
დასკვნა .....	33

## თემის ზოგადი დახასიათება

პიტერ ბრუკი XX საუკუნის II ნახევრის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რეჟისორია. მისი მოღვაწეობა გამორჩეულია ძიების სულისკვეთებით. უაღრესად ფართოა რეჟისორის ინტერესები ზოგადად კინეტიკურ-ვიზუალური ხელოვნების მიმართ. იგი ერთდროულადაა დრამატული თეატრის, კინოსა და ოპერის რეჟისორი. მისი ძიებანი არ არის შემოსაზღვრული ხელოვნების რომელიმე ერთი დარგის სივრცით და ამასთან მოიცავს კულტუროლოგიურ და ფსიქოლოგიურ ასპექტებს.

პიტერ ბრუკი დაუოკებლად ეძებს უცვლელ ფასეულობებს როგორც ხელოვნებაში, ისე ყოფიერებაში და არ კმაყოფილდება მხოლოდ საკუთარი დაკვირვებების კონსტატაციით. ამით აიხსნება მისი უფართოესი ერუდიცია თეატრის თეორიის სფეროში, რაც აისახა მის თეორიულ ნაშრომებში.

ბრუკის შემოქმედების განსაკუთრებულობა იმაში მდგომარეობს, რომ მან არა მხოლოდ გაიზიარა მსოფლიო თეატრის კულტურული გამოცდილება, არამედ ახლებურად წარმოაჩინა საკუთარ შემოქმედებაში. მან მეცნიერებაც კი ხელოვნების სამსახურში ჩააყენა. სწორედ ამიტომ, ბრუკი ერთდროულად რეჟისორიცაა და მეცნიერიც. ის არა მარტო პრაქტიკოსი რეჟისორია, არამედ საკუთარი შემოქმედების და მთლიანად თეატრის დაუღალავი მკვლევარიც.

და მაინც, რაში მდგომარეობს პიტერ ბრუკის სარეჟისორო ძიებების აქტუალობა: პიტერ ბრუკის შემოქმედება XX საუკუნის ორ მესამედს მოიცავს და XXI საუკუნში გრძელდება. მთელი ამ დროის განმავლობაში ის პასუხობდა და დღესაც პასუხობს ეპოქის მოთხოვნებს, ხშირად წინ უწრებს მათ;

XX საუკუნის დასაწყისში, პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, ინგლისურმა თეატრმა ზურგი აქცია უილიამ შექსპირის დრამატურგიას. სწორედ პიტერ ბრუკი აღმოჩნდა ის რეჟისორი, რომელმაც შექსპირი დაუბრუნა ბრიტანულ სცენას, უფრო მეტიც: შექსპირი ბრუკის სამყაროს ცენტრი გახდა; ბრუკი იყენებს მსოფლიო გამოცდილებას იმისათვის,

რომ ხელოვნების, მეცნიერების, ეხოთერიკის საშუალებით ადამიანი დაუახლოოს აბსოლუტს;

მის კვლევებს და პრაქტიკულ სამუშაოებს თუ გადავხედავთ, თვალნათელი გახდება, რომ ბრუკი თეატრის ანთროპოლოგია. მისთვის მნიშვნელოვანია თეატრის მეტაფიზიკური არსის ძიება;

დაბოლოს, პიტერ ბრუკი ლიტერატორია, რომელმაც თავის წიგნებში მეცნიერულად ახსნა სათეატრო ხელოვნების არსი და დანიშნულება.

### **კვლევის მიზანი, ობიექტი და მეთოდები**

თემაზე მუშაობისას გამოვიყენე გორდონ კრევის, მიხეილ ჩეხოვის, ვსევოლოდ მეიერხოლდის, კონსტანტინე სტანისლავსკის, ბერტოლდ ბრეხტის, ანტონენ არტოს, ეუი გროტოვსკის, ეუჯენიო ბარბას, ქრისტოფერ ინესის, ბასარაბ ნიკოლესკუს, ალექსეი ბარტოშევიჩის, მიხეილ ბახტინის, როლანდ ბარტის, გიორგი გურჯიევისა და სხვათა ნაშრომები, სტატიები და გამოკვლევები. გავაანალიზე ცნებები, რომლებიც განსაზღვრავენ სათეატრო მიმდინარეობებს, ზოგადად და კონკრეტულად პიტერ ბრუკის შემოქმედებაში. აქედან გამომდინარე, ვცადე წარმომეჩინა, თუ რა მნიშვნელობა აქვს პიტერ ბრუკის სათეატრო კვლევას სასცენო ხელოვნებისთვის.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, განისაზღვრა ის ამოცანები, რომელთა საფუძველზეც მოხდებოდა მისი ეტაპობრივი განხორციელება. ამისათვის, შეირჩა: თვისობრივი, კონტენტ-ანალიზის, ისტორიულ-ტიპოლოგიური, ინდექციური-დედექციური მეთოდები:

1. თვისობრივი მეთოდი – საკვლევი მასალის იდენტიფიკაციის დასადგენად რეჟისორის შემოქმედება განიხილება საერთო ევროპული ტენდენციების, მხატვრული და ა.შ. მიმდინარეობების ჭრილში. განვიხილე, XIX საუკუნის ბოლო და XX საუკუნის დასაწყისის საერთო სარეჟისორო მიმართულებები. XX საუკუნის თეატრალური ტენდენციებიდან პიტერ ბრუკისთვის უმთავრესი გამოდგა

თეატრის გენეზისის ძიება, რაც არა მხოლოდ ევროპის, არამედ მსოფლიოს მასშტაბით უნივერსალურ ხასიათს სძენს მის დასკვნებს. ამ თვალსაზრისით ის პირდაპირ ენათესავება ანტონენ არტოს ძიებებს თეატრალურ ხელოვნებაში, მაგრამ, ამასთანავე, არტოსაგან განსხვავებით, ბრუკი ეძებს და პოულობს კიდევ თეორიული დასკვნების პრაქტიკასთან მისადაგების გზებს. ყოველივე ეს ქმნის უადრესად საინტერესო მოღვაწეობის პანორამას და შეიძლება ითქვას, რომ ამ თვალსაზრისით ბრუკს XX საუკუნის II ნახევრის თეატრალურ მოღვაწეებში ბადალი არ ჰყავს.

2. კონტენტ-ანალიზის მეთოდი – შინაარსობრივი ანალიზი. თემაზე მუშაობისას გამოვიყენე და გავაანალიზე პიტერ ბრუკის ლიტერატურული შემოქმედება, კერძოდ: „ცარიელი სივრცე“, „დროის ძაფები“, „მოდრავი წერტილი“, „საიდუმლოებანი არ არსებობს“, „ორი ლექცია შექსპირზე“.

3. ისტორიულ-ტიპოლოგიური მეთოდი – მოვახდინე პიტერ ბრუკის შემოქმედების პერიოდიზაცია: პირველი – 1942-1960; მეორე – 1960-1970; მესამე – 1970-დან – დღემდე.

პირველი პერიოდი მოიცავს ბირმინგემის თეატრში განხორციელებულ სპექტაკლებს და შექსპირის მემორიალურ თეატრში „სტრედფორდ-ონ-ეივონ“ მოღვაწეობას. ამ პერიოდის დადგმებიდან აღსანიშნავია „რომეო და ჯულიეტა“ და „ჰამლეტი“.

მეორე პერიოდი 1961 წელს უკავშირდება, როცა შექსპირის მემორიალურ თეატრს სამეფო თეატრი დაერქვა და ის ნაციონალურ თეატრად გამოცხადდა. დაიდგა „მეფე ლირი“, რომელშიც აისახა პიტერ ბრუკის პროგრამა, პლატფორმა და მიმართულება. სწორედ „ლირის“ შემდეგ იქცა ბრუკი მსოფლიო მასშტაბის რეჟისორად. ამ სპექტაკლის დადგმისას რეჟისორმა ეგზისტენციური იდეების გავლენით შექმნა ცარიელი, არააადამიანური სამყაროს სურათი. დადგმის გაფორმებისთვის მან ჭუჭყიანი ნაცრისფერი ტილოები და ჟანგიანი პანელები გამოიყენა. ამავე პერიოდს ეკუთვნის „ზაფხულის ღამის სიზმარი“,

მაგრამ აქ, ბრუკი, აბსოლუტურად განსხვავებულ ხელწერას იყენებს: სპექტაკლი ფვერიულ სანახაობას წარმოადგენდა, მყვირალა, ფერადი კოსტიუმებით და მსახიობების ყირაზე დგომით. 1963 წელს ბრუკმა დაიწყო ექსპერიმენტები ა. არტოს „სისასტიკის თეატრზე“ დაყრდნობით, რისი დაგვირგვინებაც პ. ვაისის პიესის მიხედვით განხორციელებული „მარატი სადი“ გახდა.

მესამე პერიოდს ბრუკის რეჟისორულ ძიებათა ნუსხაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. 1968 წელს უან-ლუი ბაროს მიწვევით პარიზში „თეატრალური კვლევების საერთაშორისო ცენტრი“ ჩამოაყალიბა.

1971–1974 წლებში პიტერ ბრუკი მუშაობას ამერიკის შეერთებულ შტატებში აგრძელებს, 1974 წლიდან კი კვლავ ბრუნდება პარიზში და ხელმძღვანელობს საერთაშორისო თეატრალური ექსპერიმენტების სტუდიას. აღნიშნულ წლებში მან ბევრი დადგმა განახორციელა, მათ შორის ოთხმოცწუთიანი, კამერულ სპექტაკლამდე დაყვანილი ჟ. ბიზეს ოპერა „კარმენი“ და ა. ჩეხოვის „ალუბლის ბაღი“. წლების განმავლობაში ბრუკი გ. გურჯიევის მისტიკური სწავლების მიმდევარი გახლდათ. სწორედ ამ სწავლების გავლენით დადგა მან XII საუკუნის სპარსული პოემა „ჩიტების კონფერენცია“, 1984 წელს კი ცენტრის რეპერტუარში ინდური ეპოსის მარგალიტი „მაჰაბჰარატა“ გაჩნდა.

სწორედ ამ წლებში დაისახა და განახორციელა ბრუკმა უმთავრესი შემოქმედებითი ამოცანა – თეატრის გლობალიზაცია.

4. ინდუქციურ-დედუქციური მეთოდი – ნაშრომში განვიხილეთ ბრუკის ისეთი დადგმები, როგორებიცაა: „მეფე ლირი“ „მარატი სადი“, „ჩიტების კონფერენცია“, „მაჰაბჰარატა“ „კარმენი“. ეს სპექტაკლები ადასტურებენ ბრუკის, როგორც თეატრის ანთროპოლოგის, მისწრაფებებს, ძიებებს. ინდუქციური მეთოდის გამოყენებით შევძელი კონკრეტული სპექტაკლების განხილვის საშუალებით დამედასტურებინა ბრუკის ინტერდისციპლინარული მიდგომა ხელოვნებასთან. დედუქციური მეთოდი კი დამეხმარა

გამეანალიზებინა, XIX საუკუნის ბოლო ათწლეულებსა და XX საუკუნეში მიმდინარე, ძირითადი სახელოვნებო პროცესები და გურჯიევის ეზოთერიკული მოძღვრებები. ამდენად გასაგები გახდა – საიდან დაიბადა ბრუკის თეორიული ნააზრევი საშემსრულებლო ხელოვნებაზე, რომელიც თავისთავად აისახა კიდევ მის პრაქტიკულ საქმიანობაში.

### **ძირითადი შედეგები და მეცნიერული სიახლეები**

მიუხედავად იმისა, რომ ბრუკზე უამრავი კვლევა, სტატია და ნაშრომი დაწერილი, საქართველოში დღემდე მისი შემოქმედების ძირეული კვლევა არ განხორციელებულა. ამდენად, ხელოვნების მკვლევრებსა და მოყვარულებს მიეცემათ საშუალება, ქართულ ენაზე გაეცნონ დიდი რეჟისორის შემოქმედებასა და ნააზრევს.

ნაშრომის ძირითადი სიახლე სამეცნიერო კვლევის ახალი კუთხით წარმართვასა და საკვლევი მასალისადმი ინტერდისციპლინარულ მიდგომაში მდგომარეობს. რის შედეგადაც უახლესი ისტორიის მსოფლიო თეატრალური პროცესის რიტუალურ-მისტიკური საფუძვლების ძიება და მისი ახლებურად ინტერპრეტაცია-გააზრება მოხდა.

კვლევისას შევეცადე ბრუკის სარეჟისორო ძიებების მხატვრულ-კულტურული პროცესის ფართო ჭრილში განხილვას, გლობალიზაციის პროცესის კონცეპტუალური და სპონტანური მხარეების შეჯერებას და თეატრალური ავანგარდის კონტექსტში განვიხილე პიტერ ბრუკის შემოქმედებითი გზა.

პრაქტიკული მოდგაწეობის გარდა, ბრუკმა საგულისხმო, კონკრეტული რეკომენდაციები შექმნა, ამა თუ იმ, რთული მხატვრული ამოცანების გადასაჭრელად სპექტაკლის შექმნის პროცესში. ამასთან, მის გამოკვლევებში ყველაზე მნიშვნელოვანია თეატრის მეტაფიზიკური არსის ძიება, რაც თანაბრად ითვალისწინებს ყველა დროისა და ხალხის თეატრალურ შემოქმედებას.

დადგინდა, რომ ბრუკის მიერ შექმნილი თეორიული ნაშრომები დამოუკიდებელი კვლევის საგნად იქცა და



ეს სავსებით კანონზომიერია. მიუხედავად იმისა, რომ არ მიუღია სისტემური განათლება თეატრის სფეროში, ბრუკმა მეცნიერული სიღრმით გააანალიზა XX საუკუნის უმთავრესი თეატრალური ტენდენციები, რომელთაგან მისთვის უმთავრესი გამოდგა თეატრის გენეზისის ძიება არა მხოლოდ ევროპაში, არამედ მსოფლიოშიც, რაც უნივერსალურ ხასიათს სძენს პიტერ ბრუკის დასკვნებს.

ბრუკისთვის ხელოვნება და თეატრი ადამიანის თვითშემეცნებისა და აბსოლუტის წვდომის უნივერსალური საშუალებაა, რომელიც სათეატრო კომუნიკაციისას იბადება. მისთვის თეატრალური კომუნიკაცია მსახიობებსა და მაყურებელს შორის ენერგეტიკულ გაცვლაში მდგომარეობს. ბრუკი განსაკუთრებულ ადგილს ხელოვნების საიდუმლოებათა შესწავლას და სცენაზე პარტნიორობის საკითხს უთმობს. მისი საკომუნიკაციო სქემა, პირობითად, შეიძლება ასე გადმოვცეთ: მსახიობი–მსახიობი–პარტნიორი–მაყურებელი. ეს ურთიერთკავშირი იმ ასპარეზად იქცა, სადაც შესაძლებელი ხდება ყველა განზომილების გამთლიანება და ერთ სასიცოცხლო ფოკუსში მოქცევა, რადგან ნებისმიერი აქტი თეატრში ხორციელდება „აქ და ახლავე“.

ბრუკმა უდიდესი ადგილი დაუთმო მსახიობის ხელოვნების საიდუმლოებათა შესწავლას. ტრადიციული სამკუთხედი – მსახიობი, პარტნიორი, მაყურებელი – მან აიყვანა სრულიად ახალ საფეხურზე და მათი ურთიერთკავშირი გაუთანაბრა ეგზისტენციურ, ეზოთერიკულ აქტს. ის წამიერი გაელევება, როცა მაყურებელთა დარბაზი შეკრულია აბსოლუტური ერთსულოვნებით, მან გამოაცხადა ყველაზე დიდ თეატრალურ ფასეულობად, ხოლო მისკენ მიმავალი გზა კი განსაკუთრებულ „ხარისხად“. ეს „ხარისხი“ მხოლოდ მაშინ იბადება, როცა დარბაზში მაყურებელია.

საერთოდ კი, „ხარისხის“ თემა საკვანძოა ბრუკის თეორიულ შეხედულებებში. ამ საკითხის განხილვას იგი უთმობს განსაკუთრებულ ყურადღებას თავის თეორიულ ნააზრევში და უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს შემოქმედებითი მუშაობის დროს.

ბრუკის ინტერესი თეატრალური კომუნიკაციის პროცესში დაბადებული ირაციონალური სცენური მომენტისადმი აშკარაა. იგი ლაპარაკობს იმ წამიერ გაელვებაზე, რომელიც სამუდამოდ მიყვება მაყურებელს და საკუთარი თავის წვდომის განუმეორებელ შესაძლებლობას აძლევს. შეიძლება ამას ეგზისტენციური წამიც ვუწოდოთ, შეიძლება დუენდეც, მაგრამ არსში – ეს ერთი და იგივე მოვლენაა.

განსაკუთრებით საგულისხმოა ის გარემოება, რომ ამ უნივერსალური კავშირისა და წვდომის მომენტის მისაღწევად ბრუკისთვის მთავარი მსახიობია და არა წმინდა რეჟისორული ხერხები. ის ცდილობს მაქსიმალურად გახსნას მსახიობის კომუნიკაციური შესაძლებლობები, მისი ინტუიციის მაქსიმალური განვითარებით და სპეციფიკური ენერგეტიკული ველის შექმნით. მისთვის „ხარისხის“ ხარისხი დამოკიდებულია მსახიობის მზადყოფნაზე – ათვისოს მოცემული პირობა, განახორციელოს ურთიერთობის ირაციონალური აქტი. ეს არ არის როლში გარდასახვა ტრადიციული გაგებით, არც გამოსახვის ფორმის ძიება. ეს აქტი გაცილებით მეტია და ბევრად უფრო რთულიც. მსახიობმა უნდა შეძლოს, თავის სხეულში გაატაროს ლიტერატურული პირველწყაროს შინაარსი, სულისკვეთება, „საქადაგო“ იდეა. ეს ერთგვარი აბსტრაქციაა, ოღონდ სავსებით მიბმული რეალობასთან.

დასასრულს, დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ ნაშრომის ძირითად სიახლეს წარმოადგენს ის, რომ პიტერ ბრუკის შემოქმედებაზე და მის ნააზრევზე დაყრდნობით განვახორციელე უახლესი გლობალური სათეატრო პროცესების გაანალიზება.

### **ნაშრომის სტრუქტურა**

ნაშრომი შედგება ექვსი თავისგან, შესავლისა და დასკვნისგან. ნაშრომს თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა.

დისერტაციის ძირითადი ნაწილი მოიცავს 181 ნაბეჭდ ვკერდს.

## ნაშრომის მოკლე შინაარსი

### შესავალი

XIX საუკუნის ბოლო ათწლეულებიდან სათეატრო პროცესში ახალი ტენდენციები იკვეთება. ყალიბდება სახელოვნებო ორი ძირითადი მიმართულება: ნატურალისტური და სიმბოლისტურ-ირაციონალური. მეორე უპირისპირდება პირველს და მენტალური გამთლიანებისა და რიტუალისკენ მიბრუნების საშუალებით იწვევს ახალი მხატვრული რეალობის შექმნის გზების კვლევასა და ძიებას. თეატრში წინაურდება რეჟისურა, რომელმაც მედიატორობა იტვირთა თეატრალურ ხელოვნებასა და პუბლიკას შორის.

ამ ძიებებისას ხელოვნებაში იკვეთება ახალი მიმართულება – მოდერნიზმი. მოდერნიზმის ძირითადი ამოცანა იყო გარემოს განსაკუთრებული აღქმა, ადამიანის არა მხოლოდ ცნობიერში, არამედ არაცნობიერშიც შეღწევა, მეხსიერების ფორმების გაშიფვრა. ადამიანის ცნობიერების ნაკადის გადმოცემა, – აი, რა ხდება მოდერნისტების შემოქმედების ძირითადი მახასიათებელი. ისინი ისწრაფვიან, დააფიქსირონ და ერთ ფოკუსში მოაქციონ ადამიანის აზრთა, შთაბეჭდილებათა, გრძნობათა მოძრაობა, მისი წარსული, აწმყო და სავარაუდო მომავალი.

1930 წლისათვის მოდერნისტული ექსპერიმენტების პირველი ტალღა დასავლურ თეატრში თანდათან სუსტდება, მას ტრადიციული, რეალისტური დადგმები ენაცვლება. მხოლოდ რამდენიმე დრამატურგი – ლუიჯი პირანდელი (იტალია), თორთონ უაილდერი (აშშ), ჟან კოკტო (საფრანგეთი) მოიპოვებენ მნიშვნელოვან რეპუტაციას იმ პიესებით, რომლებსაც ნამდვილად მოდერნისტული შეიძლება ვუწოდოთ. ბრესტის მთავარი ნამუშევრები და არტოს თეორიული ნაწერები ჯერ კიდევ 30-იან წლებში გამოჩნდა, მაგრამ მხოლოდ 50-იან წლებში შეიძინეს სათანადო მნიშვნელობა – სწორედ მაშინ, როცა მოდერნიზმის მეორე ტალღა აგორდა. ამ პერიოდს ემთხვევა პიტერ ბრუკის, როგორც თეატრალური რეჟისორის წარმატებები.

XX საუკუნის მეორე ნახევარი აღსავსეა სხვადასხვა პოლიტიკური, სოციალური, კულტურული მოვლენით. კონფლიქტური, შეუთავსებელი ფორმების და შინაარსების აღქმისა და გაგების მრავალგვარობა, მათთვის ახალი მნიშვნელობის მინიჭება, სოციო-კულტურული ყოფის პარადოქსულობა ნათლად გამოიხატა ახალ მიმართულებაში, რომელსაც პოსტმოდერნიზმი უწოდეს.

ბრუკის პირველი ნაბიჯები თეატრის ასპარეზზე დაემთხვა მოდერნიზმის გაფურჩქვნის ბოლო ხანას, უკანასკნელ სტადიას. სავსებით ბუნებრივია, რომ ბრუკის ძიებანი თავიდანვე წარიმართა მოდერნიზმის საფუძვლების გააზრებისაკენ. ასეთი ლტოლვა სულაც არ გამომდინარეობდა იმდროინდელი ინგლისური თეატრის რეალიებიდან. პირიქით, ინგლისურმა თეატრმა, თვით ქვეყნის კონსერვატიზმიდან გამომდინარე, ყველაზე ნაკლებად განიცადა მოდერნიზმის გავლენა. მიუხედავად ამისა, ბრუკის მიერ 17 წლის ასაკში განხორციელებული კ. მარლოს „ფაუსტის“ დადგმა ლონდონის „ტორჩის“ თეატრში უკვე გამოირჩეოდა ხედვისა და ჩანაფიქრის ორიგინალობით.

თამამად შეგვიძლია ვილაპარაკოთ ბრუკის კავშირზე ბრეხტის თეატრალურ ესთეტიკასთან. იგი არ იზიარებდა ბრეხტის შეხედულებას მაყურებლის მოვლენებისადმი ინდიფერენტული, დისტანციური დამოკიდებულების შესახებ. მიუხედავად ამისა, მან ბრეხტისგან მრავლად ისესხა ისეთი თეორიული პოსტულატები, როგორებიცაა მოვლენათა გააზრება ისტორიულ კონტექსტში, პერსონაჟის სახიერი, გროტესკული გამოხატვის არაკანონიკური ფორმები. ბრეხტის მსგავსად, ბრუკმაც სცენური სახისმეტყველების უნივერსალურ ენად თეატრალური პირობითობა აირჩია. ნაწილობრივ გაიაზრა გაუცხოების ეფექტიც, თუმცა მხოლოდ პერსონაჟის ინტელექტუალური გააზრების სფეროში. სხვა მხრივ, ბრუკი არ ეთანხმება მაყურებელთან და პერსონაჟთან მსახიობის გამიჯვნის ბრეხტისეულ თეორიას და თანაგანცდას მიიჩნევს თეატრის ყველაზე ეფექტურ საშუალებად. ბრეხტისგან განსხვავებით,

ბრუკს ადამიანი აინტერესებს არა სოციალურ, არამედ ზოგადფსიქოლოგიურ, ფილოსოფიურ ჭრილში. ამ თვალსაზრისით, ბრუკსა და ბრეხტს შორის განსხვავება უფრო მეტია, ვიდრე მსგავსება. ალბათ ამითაც აიხსნება ის ფაქტი, რომ მას ბრეხტის პიესების მიხედვით არ აქვს განხორციელებული არც ერთი დადგმა (გამონაკლისია 1995 წელს ბრეხტის, არტოს, კრეგის, მეიერხოლდის, სტანისლავსკის ტექსტებზე განხორციელებული დადგმა „აქ ვინ არის?“). ასეთი შინაგანი დაპირისპირების მიუხედავად, ბრუკმა ბევრი რამ ისესხა ბრეხტისაგან, განსაკუთრებით ფასეული მისთვის ბრეხტის „მოთამაშე მსახიობის“ თეორია და პრაქტიკა გამოდგა.

ბრეხტის თეატრალური ესთეტიკის ზეგავლენამ თავი იჩინა ბრუკის მიერ 60-იან წლებში დადგმულ სპექტაკლში „მარატი-სადი“, რომლის მიხედვით შემდგომში მანვე შექმნა უაღრესად საინტერესო კინოვერსია. თავად ბრუკი აღიარებს, რომ: „მარატი-სადი“ ბრეხტამდე ვერ წარმოიშობოდა. პიტერ ვაისმა პიესა „მარატი-სადი“ ჩაიფიქრა გაუცხოების სხვადასხვა დონეზე: ფრანგული რევოლუციის მოვლენები შეუძლებელია აღვიქვათ შესაბამისობაში, რადგან პიესას განანახიერებენ შეშლილები, ხოლო მათი ქცევა, თავის მხრივ, ეჭვს აღძრავს, – მათი რეჟისორი ხომ მარკიზ დე სადია!

ბრუკი, სავსებით სამართლიანად, მიჩნეულია პოსტმოდერნიზმის ერთ-ერთ უპირველეს აპოლოგეტად. მან თავისი გასაღები მოუძებნა ე. წ. „დადლილ“, „ენტროპიულ“ (გაურკვეველ) ეპოქას, სადაც, ეგზისტენციალისტების თქმით, „მიფობს ესქატოლოგიური განწყობილება“. ბრუკიც მიმართავს ესთეტიკური მუტაციის ხერხს, მაგრამ არ იზიარებს სტილების ეკლექტიკური შერევის პრინციპს. მისი სპექტაკლები ყოველთვის ემყარება ერთიანი „თამაშის წესს“, მხატვრული გამოსახვის მონოლითურობას.

პოსტმოდერნისტული ესთეტიკის სპეციფიკა ითვალისწინებს კლასიკური ტრადიციების არაკლასიკურ გააზრებას. ბრუკი უკვე ღიად დაადგა ამ გზას. იგი ემიჯნება კლასიკას, მაგრამ გაურბის მასთან კონფლიქტს

და ცდილობს მოარგოს ახალ თეორიულ საფუძვლებს.

პოსტმოდერნისტული ესთეტიკა პრინციპულად ანტისისტემური, ადოგმატური, კონცეპტუალური სქემების გარე მდგომი მოვლენაა. მისი მთავარი სიმბოლოა ლაბირინთი. აქედან მომდინარეობს ორიენტაცია ასონანსზე, ასიმეტრიაზე. ამადლებულს ცვლის საკვირველი, ტრაგიკულს – პარადოქსული. ცენტრალურ ადგილს იჭერს კომიკური თავის ირონიულ ჰიპოსტასში.

ამრიგად, თეატრის გენეზისიდან გამომდინარე, დრამის მეტაფიზიკური არსის ძიება განსაზღვრავდა ბრუკის შემოქმედებით მისწრაფებებს. ეს უთუოდ გულისხმობდა ინსტინქტის დახმარებით თეატრის მრავალსახეობაში მიმალული წესრიგის აღმოჩენას.

ბრუკის მიერ ჯერ დეკლარირებული, ხოლო შემდეგ კი პრაქტიკაში განხორციელებული ამბის კოლექტიური თხრობა, უთუოდ გულისხმობდა თეატრალური სკოლებისა და მიმდინარეობების შეკავშირებას. მაგრამ აქ უმთავრესი იყო თეატრში ეგზისტენციური, ეზოთერიკული აქტის განხორციელება, რისი მიღწევაც შესაძლებელი იყო მსახიობის სხეულის, ხმის, სივრცეში მოძრაობისა და პაუზის რიტმული სიმწყობრით. სწორედ ამას გულისხმობს ბრუკი, როცა არაფრისგან წარმოშობილ წამიერ გაელვებაზე საუბრობს.

უაღრესად საინტერესოა ბრუკის დაკვირვებანი თეატრში ენერგიათა ურთიერთგაცვლის და ურთიერთმიმართების შესახებ. სწორედ ეს არის თეატრალური კვინტესენციის ძიების წინაპირობა, რამაც უნდა მიგვიყვანოს ძირძველი საკრალური თეატრის პრინციპებამდე. ამიტომ არის აუცილებელი მეცნიერული დასკვნების და ეზოთერიკის ურთიერთთანამშრომლობა. ბრუკი ვერ ხედავს წყაღვამკვეთს ამ ორ დისციპლინას შორის. სწორედ ამიტომ იზიარებს თეატრში უკვე ტრუიზმად ქცეულ აზრს – მიხვდე, ნიშნავს იგრძნო.

## თავი 1.

### რეჟისორული მრწამსი

პიტერ ბრუკის მთელი შემოქმედებითი ბიოგრაფია იმაზე მეტყველებს, რომ მას საკუთარი თავისთვის არასოდეს მიუცია მცირეოდენი მოღუნების უფლებაც კი. მიუხედავად იმისა, რომ დრამატულ თეატრში იგი კინოს სიყვარულმა მოიყვანა (ეს ნაბიჯი მისთვის იძულებითი აღმოჩნდა, რასაც იგი დაუფარავად აღიარებს თავის ნაწერებში), მისთვის სწორედ თეატრი იქცა უსასრულო ექსპერიმენტების წყაროდ. უფრო მეტიც, სწორედ თეატრში ჩამოყალიბდა მისი რეჟისორული ხედვა, მსახიობებთან მუშაობის სტილი, სცენური სივრცის ათვისების თავისებურება, ლიტერატურული მასალის გადმოცემის ხერხები და საშუალებები, მაყურებელთან კონტაქტის დამყარების გზები.

ყოველივე ამან შეადგინა პიტერ ბრუკის სარეჟისორო მრწამსი, მისი კრედიო როგორც დრამატულ და საოპერო თეატრში, ისე კინემატოგრაფშიც. მაგრამ რეჟისურა მისთვის უფრო მეტი აღმოჩნდა, ვიდრე ის, რისი მოცემაც შეუძლია სპექტაკლის დადგმას ან ფილმის გადაღებას. რეჟისურა მისთვის იქცა ცხოვრების, ყოფიერების საზრისის ძიებად. ამიტომ მნიშვნელობა აღარ ჰქონდა იმას, რომელ გარსში იქნებოდა მოქცეული მისი ძიებანი. მთავარი იყო თავად ძიების პროცესი. აქ აღმოაჩინა მან ისეთი „სიდიდეები“, რომელთა მიზანია თეატრის გენეზისის კვლევა და უნივერსალური სათეატრო ენის მიგნება.

ასეთ „სიდიდედ“ იქცა რიტმი, ერთხელ და სამუდამოდ აღიარებული დრამატული ხელოვნების დერჰად, ჯერ კიდევ არისტოტელეს მიერ თავის გენიალურ „პოეტიკაში“.

მეორე „სიდიდედ“ მან ცნება „აქვე და ახლავ“ აღიარა, რაც მისივე შემოქმედების მუდმივ თანამგზავრად იქცა. ბრუკის აზრით, მოქმედება თეატრალურ ხელოვნებაში მოითხოვს მუდმივ, უწყვეტ პულსაციას. ამის გამო წარმატება ყოველწამიერია. ამ ყოველწამიერ წარმატებათა ჯამი ქმნის საერთო შთაბეჭდილებას, შეფასების კრიტერიუმს.

ამიტომ აუცილებელია, რომ ყველა გაელვება სპექტაკლში განხორციელდეს „აქვე და ახლავე“.

მესამე „სიდიდედ“ იქცა დრამატული მოქმედების განთავსება დროსა და სივრცეში, მისი გაშლის გზები და საშუალებები. ეს თეატრალური ფენომენი მისთვის ურყევი ჭეშმარიტებაა და მის შესახებ აზრი არასოდეს შეუცვლია. ბრუკის ღრმა რწმენით, თეატრში არაფერს აქვს აზრი სცენური მოქმედების სამოძრაო ენაზე გადატანის გარეშე.

მეოთხე „სიდიდედ“ ბრუკის შემოქმედებაში თამამად შეგვიძლია მივიჩნიოთ სცენოგრაფიისადმი მისი განსაკუთრებული დამოკიდებულება. შემთხვევითი როდია, რომ მან თავის ძირითად წიგნს „ცარიელი სივრცე“ დაარქვა. სწორედ ასეთი სივრცის შევსებასთან არის დაკავშირებული მისი პირველი ნაბიჯები თეატრალურ ხელოვნებაში.

ბრუკის რეჟისურის თავიდათავი მოწყენილობასთან ბრძოლაა. მისთვის თეატრში სწორედ მოწყენილობაა ის მონსტრი, რომლის დამარცხება უკვე ნიშნავს სპექტაკლის გამარჯვებას. ბრუკი შორსაა იმ აზრისგან, რომ მოწყენილობის დამარცხება შესაძლებელია გარეგნული ეფექტების გაძლიერებით, ტემპორიტმის გაზრდით, მოძრაობის დინამიკით. სარეჟისორო კარიერის დასაწყისშივე იმ დასკვნამდე მიდის, რომ თეატრში მხოლოდ დრამატულ მუხტს შეუძლია გაიტაცოს მაყურებელი და მიანიჭოს თეატრალური განცდის დაუვიწყარი წუთები. აქვე აყენებს იგი ენერჯის გამოთავისუფლების პრობლემას, რაც ნაკლებად არის დამოკიდებული სცენაზე შექმნილ გარეგნულ მოძრაობასთან. სწორედ ამან ათქმევინა, რომ „ენერჯია და მოუსვენრობა ერთი და იგივე არ არის“.

თეატრალური წარმოდგენის ერთადერთი ფასეულობაა – მისი შემქმნელი ადამიანები. ეს პოსტულატი ბრუკს ეკუთვნის. ის გულისხმობს ურთიერთ თანამშრომლობის აუცილებლობას. მისთვის უცხო გამოდგა კრევისეული „ზემარიონეტის“ თეორია, სადაც მსახიობი რეჟისორის ჩანაფიქრის მხოლოდ გამტარია და სხვა არაფერი. მსახიობების ურთიერთდამოკიდებულება ბრუკმა შემოქმედებითი ენერგეტიკის ურთიერთგაცვლის წყაროდ



აქცია, რასაც შედეგად მოჰყვა უმთავრესი ფასეულობა თეატრში – შემოქმედებითი ატმოსფერო. მისი აზრით, ასეთი ატმოსფერო მხოლოდ გულწრფელი თანაშემოქმედებით იქმნება. მან ხმამაღლა ფიქრი დაიწყო. ამ ქმედებამ ბრუკისთვის დრმა აზრი შეიძინა. რეპეტიციებმა ასწავლეს, რომ არსებობს ერთად ხმამაღლა ფიქრის საშუალება, და ეს ბევრად უფრო პროდუქტიულია, ვიდრე სიმარტოვეში მიღებული გადაწყვეტილებები.

რიტმის აღიარება თეატრალური ქმედების სათავედ, ყოველწამიერების შექმნა სცენაზე დევიზით „აქ და ახლავე“, სხვადასხვა დროისა და სხვადასხვა სივრცის გაერთიანება – აი, რას მიიხნევდა ბრუკი მოწყენილობის მონსტრის დამარცხების იარაღად. კოლექტიური თანაშემოქმედება, სადაც ერთი სულისკვეთებით არიან გამსჭვალულნი რეჟისორი, სცენოგრაფი, მუსიკოსი და მსახიობები, მოვლენათა და პერსონაჟთა სულიერ წიადში შეღწევა – აი, რა ქმნის, ბრუკის აზრით, დრამატულ მუხტებს.

## **თავი 2.**

### **ბრუკი და შექსპირი**

იმ ფაქტს თუ გავითვალისწინებთ, რომ ბრუკს 90-მდე სპექტაკლი აქვს დადგმული, მათი ერთი მესამედი კი შექსპირის პიესების მიხედვითაა განხორციელებული, ძნელი მისახვედრი არ არის, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რეჟისორისთვის ამ დრამატურგის ნაწარმოებების ამოსხნას, მაყურებლისთვის პიესების ახალი ვერსიების მიწოდებას.

ბრუკმა შექსპირი დაუბრუნა ბრიტანულ სცენას. იგულისხმება, რომ XX საუკუნის დასაწყისში, პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, ინგლისურმა თეატრმა ზურგი აქცია საკუთარ დრამატურგს. შექსპირის დადგმა ცუდ ტონადაც კი ითვლებოდა, ანუ შექსპირთან მიბრუნება არამოდურად, წამგებიანად მოიაზრებოდა.

1947 წელს „შექსპირის სამეფო თეატრში“ ბრუკმა სპექტაკლი „რომეო და ჯულიეტა“ განახორციელა. დადგმის ავანგარდულმა გადაწყვეტამ დიდი აჟიოტაჟი

გამოიწვია იმდროინდელ თეატრალეში. ეს იყო ნამდვილი სენსაცია ბრიტანეთის თეატრალურ წრეებში. სპექტაკლი დიდი დავისა და ცხარე კამათის საგანი შეიქმნა ბრიტანელი კრიტიკოსებისთვის. მოხდა მთავარი, შექსპირი, როგორც დრამატურგი, ისევე აქტუალური გახდა ინგლისისთვის.

1961 წელს ნაციონალურ თეატრში „მეფე ლირი“ დაიდგა, რომელშიც აისახა ბრუკის პროგრამა, პლატფორმა და მიმართულება. სწორედ „ლირის“ შემდეგ იქცა ბრუკი მსოფლიო მასშტაბის რეჟისორად.

„მეფე ლირის“ დადგმისას პიტერ ბრუკი ატარებდა გარკვეულ მოსამზადებელ სამუშაოებს. შემუშავდა კონცეფცია: თუკი პ. ბრუკი „რომეო და ჯულიეტას“ და შექსპირის სხვა პიესების განხორციელებისას მთლიანად ეყრდნობოდა ემოციას, „მეფე ლირის“ შემთხვევაში, მან თავს უფლება არ მისცა, მხოლოდ ემოციით ემოქმედა... გარდა იმისა, რომ დიდხანს ფიქრობდა პიესის განხორციელების გზებსა და ფორმაზე, დიდხანს ეძებდა ლირის როლის შემსრულებელსაც. ბოლოს და ბოლოს არჩევანი პოლ სკოფილდზე გააკეთა. პ. სკოფილდის დებიუტი 1944 წელს ბირმინგემში შედგა. მას შემდეგ კლასიკური რეპერტუარის დახვეწილ შემსრულებლად მოიაზრებოდა. ის ტექსტის დეკლამირებას კი არ ახდენდა, არამედ მაყურებელს ღრმა, ინტელექტუალურ ინტერპრეტაციას სთავაზობდა. ბრუკი არ შემცდარა. პ. სკოფილდისა და პ. ბრუკის ტანდემი შედგა. მსოფლიო თეატრალურმა სცენამ კიდევ ერთი დაუვიწყარი შედეგრი მიიღო.

ტრაგედიაში უდმერთო სამყარო იყო ნაჩვენები, სადაც გამოსავალი არ ჩანდა. ეს იყო სპექტაკლი, რომელიც უიმედობის განცდას ტოვებდა მაყურებელში და იქვე, გასაოცარ იმედის ნაპერწკალსაც აღვივებდა. და მაინც, რაში მდგომარეობდა ეს იმედი? – ადამიანის ბუნების სრულ ცოდნაში... რომ ცალსახად ბოროტება და სიკეთე არ არსებობს. ბრუკის „ლირში“ არ არიან მართლები და დამნაშავეები. აქ, საკუთარი თვალსაზრისიდან გამომდინარე, თითოეული მათგანი მართალიც არის და დამნაშავეც, ვინაიდან თავისი წილი ბოროტება თავადაც

მოიტანა სამყაროში. ამ სპექტაკლში საქმე მართლაც გვაქვს „მორალურ ნეიტრალიტეტთან“. თუმცა, არ განსჯის რა გმირებს, ბრუკი უფრო მკაცრი და დაუნდობელი მსაჯული ხდება მთლიანად იმ სამყაროსი, რომელშიც ისინი ცხოვრობენ. ბრუკის რადიკალური ხედვა „მეფე ლირის“ სცენურ ინტერპრეტაციაში გამოიხატებოდა არა მხოლოდ ტრაგედიის ახლებურ კონცეპტუალურ გააზრებაში, არამედ ფორმასა და სპექტაკლის ვიზუალურ-სანახაობრივ გადაწყვეტაშიც.

შექსპირის სამყარო ერთი თეატრალური სისტემის ჩარჩოებში ვერ ეტევა, იგივე შეიძლება ითქვას ბრუკზეც – ისიც არ ემორჩილება არც ერთ თეატრალურ სისტემას (მიუხედავად იმისა, რომ მის სპექტაკლებშიც და ნააზრევშიც მრავალი სტილისა და სკოლის სინთეზია მიღწეული).

### **თავი 3**

#### **ბრუკის თეატრის ტიპოლოგია:**

#### **ბრუკის შემოქმედებითი პრაქტიკა თეორიულ ჭრილში**

პიტერ ბრუკმა თავის ცნობილ წიგნში „ცარიელი სივრცე“ თეატრი სამ გვარეობად დაყო: უსიცოცხლო, საკრალური და უხეში. ერთი შეხედვით, შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ მან თეატრის თეორიული სქემა-მოდელი შემოგვთავაზა. სინამდვილეში კი, თუ თვალს გავადევნებთ მის შემოქმედებას დრამატულ თეატრში, დავინახავთ, რომ ეს არის სპექტაკლზე მუშაობის პროგრამა, ერთგვარი მეთოდოლოგია, რომელსაც გვერდს ვერ აუვლის ვერც ერთი რეჟისორი. თეატრების კლასიფიკაციის მცდელობა სიახლეს არ წარმოადგენს, მაგრამ ბრუკის მიერ დიფერენცირებული თეატრების სახეობები არის არა თეორიული განზოგადება, არამედ პრაქტიკული რეკომენდაციები.

„უსიცოცხლო თეატრზე“ მსჯელობას იგი იწყებს არა მსგავსი თეატრის დახასიათებით (რაც მოსალოდნელი იყო თეორიულ ნაშრომში), არამედ მისი გაცოცხლების საშუალებებზე საუბრით. მისთვის მნიშვნელოვანია, რომ ცოცხალ თეატრში ყოველ ახალ დღეს რეპეტიცია დაიწყოს იმ შედეგის გადამოწმებით, რასაც წინა დღეს მიაღწიეს,

რადგან გარანტია იმისა რომ უკვე მიღწეულია პიესის ჭეშმარიტ გაგება არ არსებობს. არაცოცხალ თეატრში ითვლება, რომ ვიღაცამ ოდესღაც გაიგო და ერთხელ და სამუდამოდ დაამკვიდრა, როგორ უნდა ითამაშო ესა თუ ის კლასიკური პიესა. ასე დგება საჭირობოროტო პრობლემა, რომელიც საკმაოდ ბუნდოვნად იწოდება სტილის პრობლემად.

ბრუკის აზრით ხელოვნების ყველა ნაწარმოებს აქვს თავისი სტილი, სხვაგვარად არც შეიძლება. ყოველ ეპოქასაც აქვს თავისი სტილი, მაგრამ, როგორც კი შემოქმედებითი ჯგუფი შეეცდება დააფიქსიროს ესა თუ ის სტილი, სასიკვდილო განაჩენი გამოაქვს საკუთარი თავისათვის.

ბრუკის მოსაზრებაში საგულისხმოა რამდენიმე თეზა, რომლებსაც ერთმანეთთან მჭიდრო ურთიერთკავშირი აქვთ:

1. რეპეტიცია – ეს არის პიესის ჭეშმარიტი გაგების მცდელობა;

2. აუცილებელია ბრძოლა სტერეოტიპების წინააღმდეგ;

3. სტილი მარადცვლადი მოვლენაა.

ეს ყოველივე შესაძლებელია ასე ჩამოვაყალიბოთ: პიესის ჭეშმარიტი გაგებისკენ სწრაფვა ანგრევს სტერეოტიპებს, რაც იწვევს სტილურ ცვლილებას.

გარკვეული ბუნდოვანება შეაქვს ბრუკის სიტყვებს – „ხელოვნების ყველა ნაწარმოებს აქვს თავისი სტილი“. მაგრამ ბუნდოვანება მაშინვე ქრება, როცა ჩვენ ამ სიტყვების მიღმა ვიგულისხმებთ პიესის „გრძნობათა ბუნებას“. ჭეშმარიტად, მაღალხარისხოვანი პიესები, პირველყოფლისა, ერთმანეთისგან განსხვავდებიან სწორედ გრძნობათა ბუნებით. მაგრამ გრძნობათა ბუნების დაცვა, ცხადია, არ გულისხმობს სტერეოტიპის შენარჩუნებას, რადგან ყველა ეპოქაში იცვლება დამოკიდებულება ამ „გრძნობათა ბუნების“ მიმართ. პიტერ ბრუკსაც სწორედ ამის თქმა სურს.

თეატრალური სქემა-მოდელის ჩამონათვალში ბრუკმა

თეატრის ერთ-ერთ მიმართულებას „საკრალური“ უწოდა. ეს სიტყვა ლათინურია (sacer, sacris) და ნიშნავს წმიდათაწმიდას, რომელიმე რელიგიურ კულტთან დაკავშირებულ მისტიკურ რიტუალს. ცოტა მოგვიანებით იგი გვაწვდის ამ სიტყვის საკუთარ ხედვა-განმარტებას თეატრთან მიმართებაში – საკრალურს უწოდებს შემოკლების მიზნით, თორემ მას უნდა ეწოდოს თეატრი, სადაც უხილავი ხდება ხილული.

ბრუკი თეატრს ანიჭებს მისტიკურ მნიშვნელობას. იგი პირდაპირ არ ამბობს, რომ თეატრმა უნდა იმოქმედოს მაყურებლის არაცნობიერზე. არც იმას ამბობს, რომ თეატრმა მაყურებელი უნდა დააკავშიროს მიღმიერ სამყაროსთან. „უხილავი ხდება ხილული“ – ამ ფორმულაში უკვე მოცემულია ჩემ მიერ დასახელებული ორივე ფსიქოლოგიური ეფექტი.

ბრუკის მთელ ნააზრევში აშკარად გამოსჭვივის ნოსტალგია რიტუალური თეატრის მიმართ. სურს, თეატრს დაუბრუნდეს პირვანდელი მნიშვნელობა, თუმცა ცხადად ხედავს კიდევ ამ ამოცანის სირთულეს. იგი თვლის, რომ თანამედროვე თეატრს, თავისი შეზღუდული საშუალებებით, ნაკლებად აქვს შესაძლებლობა გახდეს საკრალური. რა თქმა უნდა, ახლაც, ისევე როგორც წინათ, სპექტაკლებს უნდა ჰქონდეს რიტუალური ხასიათი, მაგრამ თუკი რეჟისორს სურს, რომ თეატრმა გაგვიმდიდროს ცხოვრება, რიტუალმა უნდა შეიძინოს შესატყვისი ფორმები. ამ ფორმების პოვნა რთულია და ვერავითარი კონფერენციები და რეგულაციები ვერ დაეხმარება მის მოპოებაში.

„უხეშ თეატრს“ ბრუკი ნაწილობრივ საკრალურ თეატრთან აიგივებს. თუკი საკრალური თეატრი ეს არის სწრაფვა უხილავისკენ ხილულის განხორციელების გზით, უხეში თეატრი – ესეც არის ძლიერი დარტყმა მნიშვნელობადაკარგულ იდეალებზე. ერთსაც და მეორესაც აქვს ძლიერი მოთხოვნილება, ჰყავდეს თავისი აუდიტორია, ერთსაც და მეორესაც აქვს სხვადასხვა სახის ენერჯის უსაზღვრო მარაგი, მაგრამ ერთიც და მეორეც ამთავრებს იმით, რომ ქმნიან ზონებს და თითოეული მათგანი თავისებურად შემოსაზღვრულია. თუკი საკრალურ

თეატრში ლოცვა ჟღერს უფრო რეალურად, ვიდრე ლანძღვა, უხეშ თეატრში ყველაფერი პირიქითაა. ლანძღვა-გინება იქ მისაღებია, ხოლო ლოცვა ჟღერს კომიკურად. იქმნება შთაბეჭდილება, რომ უხეშ თეატრს არ გააჩნია თავისი სტილი, არ გააჩნია მოცემული პირობები, არ აქვს საზღვრები – სინამდვილეში კი მას აქვს ერთი, მეორეც და მესამეც.

ბრუკის აზროვნებაში ნათლად გამოსჭვივის ობიექტი, რომელზეც ის განუწყვეტლივ ფიქრობს. უპირველეს ყოვლისა, ეს არის ღია სატირისა და ბანალური კომედიის თეატრი. ამასთანავე, აქ, რა თქმა უნდა, არ არის ნაგულისხმები ე. წ. მაღალი კომედია. პირიქით, ბრუკი გულისხმობს ატელანებს, ჰისტრიონებს, საერთოდ ყველა დროის და ხალხების მოხეტიალე დასებს და მსახიობებს, ბაზრობების და სამოედნო, ბულვარულ თეატრებს. იგი იმეორებს ცნობილ დებულებას, რომ კომედია გვიჩვენებს იმას, თუ როგორ და რამდენად დაშორდნენ ადამიანები იდეალს. რა თქმა უნდა, ასეთ თეატრებს იგი აკუთვნებს ცოცხალთა რიგს.

იმავე კატეგორიაში განიხილავს იგი ბრეხტის მიერ შემოტანილ ცნებას სახელწოდებით „გაუცხოების ეფექტი“ და ასევე ჰეპენინგსაც. ერთი და მეორეც მისთვის „უხეში თეატრის“ არსენალიდანაა და ასევე ემსახურება თეატრის გაცოცხლებას.

#### **თავი 4**

##### **რეპეტიცია, მსახიობი, მაცურებელი**

ბრუკი წინასწარ შემუშავებული სქემების სასტიკი წინააღმდეგია და მიიჩნევს, რომ სპექტაკლი უნდა დაიბადოს მსახიობებთან თანაშემოქმედების პროცესში.

ერთობლივი თამაში – ეს არის პროცესი, რომელსაც მოაქვს ისეთი განსაზღვრული რეზულტატი, როგორცაა – ნდობა, მეგობრობა, ურთიერთობის უბრალოება. თვით პიესის მოსმენის დროსაც კი შეიძლება რაღაც ვითამაშოთ, რათა შევქმნათ მსუბუქი ატმოსფერო.

მსახიობის აღქმა ხდება რეჟისორის აღქმის „პროექტორი“

და იგი ან წინ წაიწვეს, ან მკაფიოდ შეიგნებს, რომ ჯერჯერობით ვერ შეძლო რაიმე ფასეულის აღმოჩენა.

ბრუკი როლის მზადების პროცესში ისეთი მომენტის მოხელთებას ცდილობს, როცა მსახიობი უკვე მზადაა განახორციელოს გარდასახვის აქტი, ხოლო რეჟისორი მზადაა შექმნას აზრობრივი მეტაფორა, თავი მოუყაროს ანსამბლს, ერთობლივი ჟღერადობა შესძინოს სპექტაკლს. ანუ, აქაც იგი მიმართავს შინაგან ხმას, ინტუიციას, შემოქმედების ფარულ შრეებს.

ბრუკს დაუშვებლად მიაჩნია ერთხელ ნაპოვნი რომელიმე სტილის გამეორება მომდევნო დადგმებში. მისი აზრით, სტილი, ისევე როგორც სხვა დანარჩენი თეატრალური კომპონენტი, უნდა დაიბადოს სპექტაკლზე მუშაობის პროცესში. ყოველი ახალი დადგმა ახალი ცარიელი ფურცელია, ახალი „ცარიელი სივრცეა“ და იგი უნდა შეივსოს ყველასათვის მოულოდნელი თეატრალური ტექსტით.

და რას მიეყავართ ასეთი სიახლისაკენ? პირველ რიგში – პიესის „გრძნობათა ბუნების“ ამოცნობას. ესეც უხილავის ხილულად ქცევის პროცესია და აქაც გადამწვევტ როლს თამაშობს შემოქმედებითი განწყობილება. ჩასწვდე დრამატურგის უხილავ მისწრაფებას, პერსონაჟების ფსიქიკასა და მოქმედების იმპულსებს – ნიშნავს გამოიცნო პიესის „გრძნობათა ბუნება“. აქედან ერთი ნაბიჯია ფორმის, სტილის დაბადებამდე.

დიახ, თეატრი მარად მოძრავი, მარად ცვლადი ხელოვნების სახეობაა და იცვლება იმ გამოწვევების მიხედვით, რასაც მისგან მოითხოვს დრო და ეპოქა. მაგრამ არსებობს თეატრის უცვლელი ღირებულებანი, თეატრის არსი, მხატვრული საყრდენი, რომელიც არ ექვემდებარება გადახედვას დროსთან და ეპოქასთან მიმართებაში. და თუკი ვინმე მოისურვებს უარყოს იგი როგორც უცვლელი ფასეულობა, აუცილებლად მივა უსიცოცხლო თეატრამდე.

სამსახიობო ხელოვნებაში, როგორც შემოქმედების ყველა სხვა სახეობაში, ბრუკი უპირატესობას ანიჭებს ინტუიციას, ქვეცნობიერს, შემოქმედების ირაციონალურ

იმპულსებს. ასეთ დროს ყველაფერი შეიძლება იქცეს ბიძგად, თვით უმნიშვნელო დეტალიც კი.

იპოვოს ძაფი, რაზეც აიგება პერსონაჟის ყოველი სიტყვა და ქცევა, – აი რას თვლის ბრუკი ყველაზე მთავარ მომენტად მსახიობის ხელოვნებაში. სწორედ ეს არის სცენაზე ორგანული მოქმედების სათავე და ბრუკი სწორედ ამას მიიჩნევს თეატრის უმთავრეს ფასეულობად.

ბრუკი კატეგორიულად წინააღმდეგია წინასწარ შემუშავებული სქემებისა არა მარტო რეჟისურაში, არამედ მხატვრულ სახესთან მიმართებაშიც, და ეს მისთვის უაღრესად პრინციპული საკითხია. იგი დაუშვებლად მიიჩნევს რეჟისორული ხედვის გამჟღავნებას სცენური შემოქმედების პროცესში, რადგან ასეთი მიდგომა კი არ აღვივებს მსახიობის ენერჯიას, არამედ აქრობს მას.

ბრუკის აზრით, თეატრი ენერჯიათა ურთიერთგაცვლის ასპარეზია და აქ თანაბარი როლი ენიჭებათ მსახიობს, რეჟისორს და მაყურებელს. მხოლოდ ასეთ ვითარებაში არის შესაძლებელი „აზრისა და განცდის შეერთება“. ამიტომაც ნამდვილი თეატრი მისთვის უწყვეტი შემოქმედებითი პროცესია.

ბრუკი დიდ ყურადღებას უთმობს მსახიობის შემამზადებელ პროცედურებს, მთლიანად იზიარებს და ითვალისწინებს წინამორბედთა გამოცდილებას. წიგნში „ცარიელი სივრცე“ დიდი ადგილი ეთმობა მსახიობის ფსიქიკისა და სხეულის წვრთნის პრობლემას.

ბრუკისთვის სამსახიობო ტრენინგები მთავარია. მხოლოდ ამ გზით ყალიბდება მსახიობის ურთულესი ფსიქოტექნიკა. მაგრამ ეს გზის მხოლოდ დასაწყისია. ყველაზე რთული „გაორება“ მსახიობს წინ ელოდება. თეატრი, შესაძლოა, ერთი ყველაზე რთული ხელოვნებათაგანია, რამეთუ მასში აბსოლუტურად ჰარმონიულად უნდა შეერთდეს სამი კომპონენტი: მსახიობი – თავისი შინაგანი ცხოვრებით, მისი პარტნიორები და მაყურებელი.

ბრუკისთვის საეჭვოა სცენაზე გმირის გათამაშების შესაძლებლობა. საზოგადოდ მიღებულია აზრი, რომ გმირები, როგორც დადებითი პერსონაჟები, უმეტესად



სუსტები და სენტიმენტალურები არიან, ან გახევებული და არასაინტერესონი. ხოლო როცა სცენაზე არამზადები გამოჩნდებიან, მოქმედება მეტად დინამიკური და მომწუსხავი ხდება. ნამდვილი განცდის დროს წარმოიშობა რეალური და გამოგონილი პირის გამოუცნობი ნახავი, რომლებსაც ადამიანები ერთდროულად აღვიქვამთ.

იმისათვის, რომ თეატრმა დაიბრუნოს პირვანდელი სახე, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღდგეს თანაშემოქმედების პროცესი. დრამატურგი, რეჟისორი, მსახიობი სრული ერთსულოვნებით, ერთად ქმნიან ისეთ წარმოდგენას, სადაც უკვე ნაგულისხმებია მაყურებლის თანამონაწილეობა არა როგორც დამკვირვებლის, არამედ სრულუფლებიანი მონაწილის სტატუსში. და ეს შესაძლებელია, თუკი ისინი ერთად ეძებენ ჭეშმარიტებას, ერთად გამოთქვამენ პროტესტს მანკიერი მოვლენების მიმართ. ყველაფერი ის, რასაც ეძებს, რისკენაც ისწრაფვის თეატრი, უნდა გაიაზროს მაყურებელმა. მაშინ მოიშლება ყოველგვარი ბარიერი სცენასა და მაყურებელთა დარბაზს შორის, შეიქმნება ის ერთსულოვნება, რაც ასე სჭირდებათ ადამიანებს. სწორედ ამიტომ, დაუშვებელია თეატრალური ფორმების სტაგნაცია, მათი მოქცევა ერთხელ და სამუდამოდ დადგენილ ჩარჩოში. სცენა-კოლოფი არ უნდა იყოს თეატრალური ქმედების უალტერნატივო მოედანი. ფორმის ასეთი დაკანონება იწვევს გაუცხოებას, წარმოშობს დაპირისპირებას თეატრში მოღვაწე ხელოვანსა და მის შემფასებელს შორის. თეატრის სულიერი მისია ბევრად უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ თავშესაქცევი სანახაობა ან რაიმე ბანალური ისტორიის თხრობა სცენიდან.

სწორედ ამიტომ, თეატრის უპირველესი ამოცანაა, არ შეაჩეროს ძიებანი გამომსახველი საშუალებებისა და ახალი თეატრალური ხერხების მიმართულებით. და მაშინ, ადრე თუ გვიან, გამოიძებნება გზა მაყურებელთა გულებისაკენ. ხოლო ამ გზის ერთადერთი მანათობელი შუქურაა ისეთი მხატვრული რეალობა, რომელიც შექმნილია და განმსჭვალულია იდეალის ძიების სულისკვეთებით. ასეთ ვითარებაში თვით იდეალისგან დაშორების ასახვა უკვე გულისხმობს იდეალის ძიებას.

## თავი 5

### თეატრის „გლობალიზაცია“

(თეატრალური ექსპერიმენტის საერთაშორისო ცენტრი (C.I.R.T.) და საერთაშორისო თეატრალური ექსპერიმენტების სტუდია)

1971–1974 წლებში იგი მუშაობას აგრძელებს ამერიკის შეერთებულ შტატებში, 1974 წლიდან კი კვლავ ბრუნდება პარიზში და ხელმძღვანელობს საერთაშორისო თეატრალური ექსპერიმენტების სტუდიას.

